№ 24 7 მარტი, ქვირა 1866–1876 7 მარტი, ქვირა № 24

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, პარტევ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებლებისთვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

Ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დროება" 66-76

4 მარტს 1866 დაიბადა ჩვენი გაზეთი.

გასულ ხუთშაბათს, ე. ი. ამ 1876 წლის 4 მარტს ათი წელიწადი შესრულდა იმის არსებობისა.

როცა რომელიმე გაზეთი, და ისიც ჩვენში, ათს წელიწადს ცხოვრობს, უეჭველია, რომ ამ გაზეთის სახელი და გავლენა ხალხის ცხოვრებაში და ისტორიაში ჩასანიშნავი იქნება.

ამიტომაც საჭიროთ ვსთვლით, რომ „დროების" ათი წლის ცხოვრებაზე ორიოდე სიტყვა ვსთქვათ.

„დროებამ" ისეთს დროს დაიწყო გამოსვლა, როდესაც, ხანგრძლივის ძილისა და მყუდროების შემდეგ, საქართველომ თითქო გამოღვიძება დააპირა.

ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენმა ხალხმა ცოტ-ცოტათი დაიწყო თავის ძველი ცხოვრების წესისა და ხასიათის მიტოვება, და ახლს, თანამედროვე ცხოვრებას შეუდგა.

ეა იყო ის დრო, როდესაც განათლებული ახალგაზდა ქართველები გაჩნდნენ ჩვენში, რომელთაც ცოტა არ იყოს, შეანძრიეს თითქო გაქვავებული და დამჭაველებული ჩვენი ცხოვრება.

ხალხი გრძნობდა ახალ დროს, ახალ ცხოვრების მოახლოებას. თვალები და გონება რომ არ ჰქონოდა მაშინდელ ქართველს, მარტო ყნოსვითაც კი შეატყობდა, რომ რაღაც სხვა დრო და სხვა მოთხოვნილება გაჩნდაო.

აი ამისთანა დროს დაიბადა გაზეთი „დროება".

ჩვენი საქმე არ არის ავსწონოთ და დავაფასოთ—თუ რამდენათ შეასრულა ამ გაზეთმა ის ზნეობითი მოვალეობა, რომელიც იმისაგან მაშინდელი დრო და საზოგადოება მოითხოვდა.

მხოლოდ ერთს ვიტყვით:

რაც რამე ნიჭიერი, მოძრავი და ცოცხალი იყო ჩვენს საზოგადოებაში, ყველაფერმა და ყველამ თავის კვალი დაჩნია ამ გაზეთში. ეს იყო თითქმის მთელი ჩვენი ლიტერატურის ერთად-ერთი წარმომადგენელი, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა საზოგადოებასთან ბაასი; ეს იყო ერთად-ერთი ორღანო, რომლის საშუალობითაც მხოლოთ შეეძლოთქვა რამე ყველას, ვისაც ქვეყნისათვის რაიმე ჰქონდა სათქმელი, ვისაც თავის ჰაზრებისა და რწმუნების გავრცელება და გაზიარება უნდოდა ჩვენში.

გაზეთს უყურადღებოდ არ ჩაუვლია თითქმის არცერთი ისეთი საგანი, რომელიც კი, ამ დროის განმავლობაში, აწუხებდა ანუ აინტერესებდა ჩვენს საზოგადოებას.

ერთი სიტყვით, თვით ამ გაზეთის მოსისხლე მტერიც ვერ იტყვის, რომ „დროების" ათი წლის სიცოცხლეს უნამყოფოთა და უკელოთ ჩაეაროს.

რასაკვირველია, შესაძლებელი იყო, რომ ეს ნაყოფი უფრო მწიფე ყოფილიყო და ეს კვალი უფრო ღრმა; შესაძლებელი იყო, რომ გაზეთს უფრო მომეტებული სარგებლობა მოეტანა ქვეყნისთვის; მაგრამ ნუ დაიწყებთ ნურც იმ გარემოებათ, რომელიც გაზეთს გარს ეხვია და ახლაც ახვევია.

ნუ დაივიწყებთ, რომ გაზეთის საქმეს ვარდით მოფენილი გზა არ ჰქონია, რომ იმის წესიერს მსვლელობას ხშირად და ბევრი ისეთი მოულოდნელი დაბრკოლება უხვედებოდა გზაზე, რომლის გადაბიჯება იმის ხელთ არ იყო, იმის ნებაზედ არ იყო დამოკიდებული....

მაგრამ ამ მდგომარეობაშიაც გაზეთი დღე-ჯღეზე, ყოველ წელიწადს უკეთესდება და წარმატებაში შედის.

ვისაც თავიდამვე, პირველი ნომრიდამვე თვალ-ყური უდევნებია ჩვენის გაზეთისათვის, ის დაგვეთანხმება, რომ პირველი და მეორე წლის გაზეთი ყველაფერში ბევრად უკან ჩამოუდგება უკანასკნელის წლის გაზეთსა.

როცა აპრილში 1869 წელს „დროების" ახლანდელმა რედაქტორმა პირველად იკისრა ამ გაზეთის პატრონობა, გაზეთს მხოლოთ 240 ხელის-მომწერი ყვანდა.

ქვირა ისე გავიდოდა ხოლმე, რომ რედაქციას ერთი ან ორი რაღაც საცოდავი კორრესპონდენცია ან სტატია რამ თუ მოუვიდოდა.

შარშან დეკემბერში კი „დროების" ხელის-მომწერთ რიცხვი 650-ამდინ ავიდა. წელს ამაზედ მომეტებულის იმედი გვაქვს. მკითხველთ-რიცხვი ხო ერთი-ხუთად უნდა ჩითვალოს.

დღე არ გავა ახლა, რომ რედაქციას ხუთი-ექვსი, ხან ათი და მეტიც თუ წიგნი, თუ რამ შენიშენა, სტატია ამ კორრესპონდენცია არ მოუვიდეს.

ისე არაფერი დაიბეჭდება ახლა გაზეთში, რომ სადმე და რაიმე ლაპარაკი, ბაასი და ხან ყაყანი და შფოთი არ ასტეხოს.

ყველა ეს გვიმტკიცებს, რომ ჩვენს საზოგადოებაში თან-და-თან ისხნება ხალისი კითხვისა; გვიმტკიცებს, რომ გაზეთს თან-და-თან ემატება ინტერესი; ემატება ძალა და გავლენა. ეს გვიმტკიცებს, რომ გაზეთი საჭიროა, რომ, ათი წლის არსებობით, იმას საზოგადოებაში სახელი და აუცილებელი საჭიროება დაუმსახურებია; ეს გვიმტკიცებს, რომ იმას „შავ-ბედითი ყორნის" არ უნდა ეშინოდეს, რომ ის მკვიდრ საძირკველზე დგას და ხან-გრძლივს სიცოცხლეს მოელოდ...

ეს შენიშვნა ისე არ უნდა გათავდეს, რომ ჩვენ არ მოვიხსენიოთ ერთი პირი, რომელსაც გაზეთის ბედში არა-მცირედი მონაწილეობა მიუძღვის, რომელსაც ამ ჩვენი „დროებისათვის" ცოტა ოფლი არ დაუღვრია: ეს პირი არის „დროების" პირველი რედაქტორი—ბიორგი წერეთელი.

ბიორგი წერეთლის მეცადინეობასა, ნიჭსა და საშშობლო საქმის სიყვარულს უნდა უმადლოდეთ, თუ დღეს ჩვენი გაზეთი ცოცხალია და თუ შემდეგში იმას დღეგრძელობა მოელის.

თავის ათის წლის სიცოცხლეში „დროებას" ერთი საზოგადო სახელმძღვანელო ჰაზრი ჰქონდა; ეს ჰაზრი იმას არასოდეს არ გაუშვია ხელიდამ და, იმედია, არც შემდეგში მიატოვებს:

იმას ესმოდა და ესმის სამშობლო ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობა ყოველის ხალხისათვის; იმას ესმოდა და ესმის, რომ ლიტერატურა საზოგადოთ და პერიოდული განსაკუთრებით ძალაა, რომ ყოველ პატიოსან კაცმა ეს ძალა თავის ქვეყნის სასარგებლოთ უნდა მოიხმაროს.

იმას ესმოდა და ესმის, რომ კაცობრიობა ერთს წერტილზე ვერ გაჩერდება, რომ დროთა ვითარება თავისას თხოულობს, რომ ერთს ალაგას გაჩერება რომლისამე ხალხისა პირველი და აუცილებელი ნიშანია ამ ხალხის სიკვდილისა და ისტორიიდამ გაქრობისა.

ამ რწმუნების დაგვარად, „დროებას", თავის წრეში, შრომა და ერთგულება არ დაუკლია.

და შემდეგშიც იშრომებს; იშრომებს მით უმეტესის კმაყოფილებითა და ენერგიით, რომ იცის, რომ ეს შრომა, რაც უნდა მცირე იყოს, ცოტა სარგებლობას მაინც მოუტანს იმ ყველასთვის ძვირფასს საგანს, რომლის სიკეთისა და წარმატებისათვის, ადამანს ათასობით და მილიონობით შეუწირავს თავი და რომელსაც საზოგადო სამშობლო ჰქვიან...

ს. მესხი

„დროების" დღესასწაული

ათის წლისა

დანიშნულ დროს, უ. ა. წოვიანოვის ბაღში, 70 კაცზე მეტი მოგროვდა, რომელთაც ხელის-მოწერით განაცხადეს მონაწილეობის მიღების სურვილი „დროების" ათი წლის არსებობის დღესასწაულში, და სწორეთ სამ საათზე დასხდნენ სადილათა.

როგორც ყველა ამგვარ შინაურულ დღესასწაულობას შეეფერება, საზოგადოებამ ამოირჩია ტოლუმბაში და შეიქნა სადღეგრძელოების თქმა.

ყველაზე პირველად, რასაკვირველია, წარმოითქვა ხელმწიფე იმპერატორისა და დიდის მთავრის ალექსანდრეს ნამესტნიკის სადღეგრძელო.

შემდეგ პირველი სადღეგრძელო იყო „დროების" რედაქტორის უფ. სერგის მესხისა, რომელმანც სამადლობელ ტოსტში შემდეგი სიტყვებით მიმართა საზოგადოებას:

უფ. სერ. მესხის სიტყვა

„იმ გაზეთის სამსახური, რომლის დაბადებასა და ათი წლის სისოცხლეს ჩვენ ვდღესასწაულობთ დღეს, ცოტადენ უფლებას მაძლევს ქადილისას. მაგრამ ეს ჩემი ქადილი იქამდინ არ მიაღწევს, რომ ის თქვენი მხურვალე თანაგრძნობა, რომელსაც თქვენ დღეს აქ აცხადებთ, მე დავისაკუთრო.

„ძალიან კარგათ მესმის, რომ კერძოთ მე კი არ მიცხადებთ ამ თანაგრძნობასა, არამედ უცხადებთ იმ დროშას, რომლის ქვეშ ჩვენ დღეს ყველანი შეკრებილნი ვართ აქ.

„ეს დროშა მარტო ერთს გაზეთს, ან რომელსამე მიმართულებას ანუ თაობას კი არ წარმოადგენს; ამ დროშაზე არ აწერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და არც ძველი თაობა,—ეს არის დროშა ქართულის ლიტერატურისა!

„შესაძლებელია,—და არათუ შესაძლებელი—უეჭველიცაა, რომ ზოგს თქვენგანს არ აკმაყოფილებს „დროება" და იმის მიმართულება; ზოგი თქვენგანი ახალს მოდგმას, ახალს თაობას ეკუთვნის და ზოგი ძველსა.

„მაგრამ, როდესაც ჩვენს საზოგადო ქართულს ლიტერატურაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინ ამგვარი გარჩევა იქ ალარ უნდა იყოს, მაშინ ჩვენ ერთის მიწის შვილნი, ერთის ენისა და ლიტერატურის მოყვარენი ვართ!

„ვსვამ ამ ქართული ლიტერატურის სადღეგრძელოს!"

თ. ი. ჭავჭავაძემ წარმოსთქვა ტოსტი „დროების" პირველი რედაქტორის — ბიორგი წერეთლისა, ამავე გაზეთის ორი საუკეთესო მოღვაწისა უ. უ. აკაკი წერეთლისა და უფ. ნიკოლოზ ნიკოლაძისა, რომელთაც გაზეთს სული ჩაუდგეს და აგრეთვე იმ პირისა, რომელმაც „გაზეთს ხო-

რაც შეასხან“ — უფ. „დროების“ გამომცემლისა — სტეფანე მელიქიშვილის, რომელმაც, ამის პასუხად შემდეგი სიტყვა სთქვა:

უფ. სტ. მელიქიშვილის სიტყვა

„ბატონებო! პირველი ჰაზრი იმ გაზეთის გამოცემისა, რომლის გამომცემელი მე გახლავარ და რომ-ლის ათი წლის არსებობას ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ, იკუთვნის თ. ი. ჭავჭავაძეს, რომელმანც პირველად გამოსთქვა ეს ჰზრი „საქართველოს მოამბის“ დ ხურვის შემდეგ.

„ამის გამო მე აქ დიდის სიამოვნებით ვსვამ და ვაცხადებ იმის სადღეგრძელოსა!“

შემდეგ თ. ი. ჭავჭავაძემ წაიკითხა შემდეგი წიგნი უფ. დ. ი. ყიფიანისა:

წიგნი დ. ი. ყიფიანისა

„დიდად ვჰსწუხვარ, რომ დღევანდელს ნადიმობაში პირადს ძონაწილეობას ვერ მივიღებ. — მაგრამ ნებას ვითხოვ ორიოდ სიტყვა შემომათვლევინოთ. ვითამ თქვენში მეთქვას.

„ქვეყანა ისე არის დაფუძნებული, რომ ყოველიფე, რაც რამ თვალით სახილველია, ან გონიერებით გამოკვლეული, სულ წინ მიდის ყოველიფე, რაგვარი მსვლელობაც უნდა ჰქონდეს მითვისებული, ბრუნვა, ტრიალი, ცურვა, თუ სხვა მოძრაობა. რაც ამგვარს ნიეთიერებათ მსვლელობას ერთხელვე უკან ჩამორჩება, უძრაოთოლა რჩება, ირღვევა, იხრწნება და გადადის იმავე გარეშეუწერელსა და ყოველად განუზომელს არარაობაში, საიდამაც მომაველობდა.

„რასაც კანონს ეს ნიეთიერებითი მსოფლიო ემყარება, სწორეთ იმგვარსავე კანონს ექვემდებარება ზნეობითი მსოფლიოცა.

„ბუშინდელი ჩვენი საზოგადო თუ სამოქალაქო დაწყობილება დღეს ისე იცვლება, ხვალ ისე; გავა რამდენიმე ხანი, ჩვენთვის მოკლე თუ გრძელი, მაგრამ ქვეყნიერების არსებობისათვის წუთზედაც უზომოდ უმცირესი, — და რაც გუშინ, შარშან, იმ საუკუნეში მკვიდრი რამ დაწყობილება გვეგულებოდა, დღეს იქნება კვალიც აღარსადა ჰჩნდეს იმისი.

„ასე, გუშინდელი, შარშანდელი, ან ცოტა კიდევ იმის უწინარესი ჩვენი დამოძღვრება, ჩვენი დამრიგებლობა და სწავლება, უკან ჩამოგვრჩენ და ჩვენ რომ შეუფერხებლად წინ მივალთ, რაღას მოგვეწევიან.

„იმათ ფეხში სხვა რიგი არის ახლა ჩამდგარი, სხვა წესი, სხვა ძალა, — ეს მიგვიძღვის ახლა წინა, ამას მივდევთ და ასე მიმავალნი თითქო ჩვენც უფრო თვალ-ახილვით ვმოძრაობთ, ჩვენს საკუთარს პირადს მსოფლიობასა ეჰგრძნობთ, უფრო გულდასმით და ყურისგდებით გარეშემოვიყურებით და საზოგადო მოძრაობას მივდევთ.

„რა არის ახლა, ან ვინ არის ამ ახლანდელს ჩვენს წყობილებაში ჩვენი წინამორბედი, ჩვენი დამმოძღვრებელი, ჩვენი მეგობარი და ჩვენი მეინახე?

„ეს არის — სტამბა, ეს არის ბეჭდვა. უჟურნალოთ, უგაზეთოთ რიღას მაქნისნი ვართ ახლა?

„ჩვენი საბრალო „დროების“ ათწლოვანებასა ეჰდღეობთ დღესა.

„ვისურვოთ გულით, რომ ეს გაზეთი გალონიერდეს, გავრცელდეს და საფუძველი განიმკვიდროს ხალხის სასარგებლოდ.

მრავალჟამიერ სიცოცხლე მისი!!

დიმიტრი ყიფიანი

4 მარტი 1876.

ამის შემდგომ წაიკითხეს სხვა და სხვა პირებისაგან მიღებული მოსალოცავი ტ ე ლ ე გ რ ა მ ნ ი:

გოორიდამ:

„მოგილოცავთ „დროების“ ათი წლის არსებობას. წარმატებას ვისურვებთ ამ გაზეთისას და საზოგადოთ ქართული ლიტერატურისა!. დღეგრძელი იქმნეს ქართული ლიტერატურა! ბაუმარჯოს იმის პატრონ ან მშრომელთ!

ნიკოლოოზ ყიფიანი,
რაჟდენ ციციშვილი,
კონსტანტინე დიდებულიძე,
ექიმი საკოვი,
მიხაილ თარხნიშვილი,
ალექსი ქვალიაშვილი.

ჟუთაისიდამ:

„დიდის კმაყოფილებით მოგილოცავთ „დროების“ დღესასწაულს. ვსვამთ ამ გაზეთის აღყვავებისათვის.“

ალექსი ჭიჭინაძე,
დავით ჩხეიძე,
ილარიონ მიქელაძე,
იაკობ მესხი.

კიდევ ჟუთაისიდამ:

„სულითა და გულით მოგილოცავს ათი წლის სიცოცხლე თქვენის გაზეთისა. წრფელის გულით ვინატრით, რომ „დროებას“ შემდეგშიაც ისე მკვიდრად და პატრონსნათ ემსახურნოს საზოგადო სარგებლობისა, ჩვენი საყვარელი სამშობლოსა და ქართული ლიტერატურის წარმატებისათვის, როგორც დღემდი ემსახურებოდა.

ივანე ჯაიანი,
ანტონ ლორთქიფანიძე.

წაიკითხეს კიდევ „დროების“ რედაქციაში მიღებული წიგნები; მოგვყავს ორი იმათგანი:

წიგნები:

ე) „დღეს, 4 მარტს, თქვენ დღესასწაულობთ ათი წლის სულიერ მამულის შვილობას. ჩვენი ისტორიული ცხოვრება ღარიბია ამ გვარ ბედნიერ დღეებით. ქართველთა ახალგაზდობა თითქოს ცელით ითიბება უმანკო საყუათო გზაზე. მსხვერპლნი წინ გედოთ, მაგრამ მამაცობდეთ. ვისურვებ თქვენთვის მრავალ ჟამიერს და კიდევ მრავალ ჟამიერს! წინ ბევრი შრომა მოგველის კიდევ!“

ბ) „ისეთ ნაირი მიზეზი მომეცა, რომ ველარ მოვახერხე დღეს თქვენთან მოსელა; თორემ ამ დღევანდელ დღეს თქვენს საზოგადოებას არ მოვაკლდებოდი. ამისთვის ამ წერილით და კაის გულით მოგილოცავთ დღევანდელ „დროების“ ათი წლის დღესასწაულსა.“

სომხური გაზეთის „მშაკის“ რედაქტორმა უფ. ბრ. არწრუნიმ წარმოსთქვა სადილზე შემდეგი სიტყვა სომხურად:

უფ. ბრ. არწრუნის სიტყვა:

—

„როგორც წარმომადგენელი სომხური ჟურნალისტიკისა, მე სომხურად ვიტყვი რამდენსამე სიტყვას:

„ევროპაში ჟურნალის საქმე მოგების მომცემი საქმეა. ჩვენში კი ეს საქმე არათუ მატერიალურად დამაჯილდოებელია, არამედ დაბრკოლება, სიღარიბე და წვალება მოსდევს. ეს კარგათ იციან მხოლოთ იმათ, ვისაც ჟურნალის საქმეში შრომა უკისრნია. ეს კარგათ იცის ჩემმა მეგობარმა ს. მესხმა, რომელიც მარტოთავის ნიჭია და მეცადინეობას კიარ უნდა უშადლოდეს თუ იმან თავის გაზეთი წარმატებაში შეიყვანა, არამედ იმ გარემოებასაც, რომ იმან გაიგო საზოგადოების მოთხოვნილება, იმის ზნეობითი ნაკლულევანებანი და წვალება, და თვითონაც იგემა წვალება.

„შესანიშნავია, რომ ხალი ჰზრების ქადაგების საქმე არასოდეს მდიდრების ხელში არ ყოფილა, არამედ უფრო ხშირად ღარიბებისა.

„ჩემს სიტყვას ვათავებ ნატერით, რომელიც იქნება თქვენ გეუცხოოთ, მაგრამ რომელიც მე ჭეშმარიტ ნატერად მიმაჩნია:

„მე ვისურვებ თქვენთვის, ჩემო მეგობარო, რომ მიეჩვიოთ წვალებას; მხოლოთ მაშინ გაიგებთ თქვენ საზოგადოების ზნეობით ტანჯვასა და წვალებას!“

ერთმა აქ დამსწრეთაგანმა წარმოსთქვა სადღეგრძელო სომხებსა და ქართველებს შუა ძმური მეგობრობისა და კავშირისათვის.

ამ სიტყვის თაობაზე უფ. აბგარ-ონესიანმა შემდეგი სიტყვებით მიმართა აქ მყოფთა:

უფ. აბგარ ონესიანის სიტყვა:

—

„აქ სთქვეს რამდენიმე სიტყვა სომხის ხალხის სადღეგრძელოთ.

„ორიოდე სიტყვის ნება მომეცით მე, როგორც ამ ხალხის შვილსა: „როდესაც გამოჩენილი პუბლიცისტი და ისტორიკოსი ლაბულეასს ჩამომსხმელი იყო, იმან მოინდომა გამოფენისათვის სამაგალითო ასოების ჩამოსხმა. ასოები მზათ იყო, მაგრამ, დიდხანს დეევზი ვერ მონახა. ბოლოს ეს დეევზი ნახა იმან ერთს ძველს ესპანიურს წიგნში, რომელშიაც ოცდა ხუთი ასოსთვის გრგოლი იყო მოგონილი და ზედ შემდეგი სამი სიტყვა გამოყვანილი: „Vis bene conjunetis.“ ესე იგი: „ძალა შეერთებაშია“.

„თუ ეს ჭეშმარიტება ასოების შესახებ არის მართალი, მით უფრო მართალი უნდა იყოს ადამიანების შესახებ.

„ჩვენ წარმომადგენელნი ქართველი და სომეხი ხალხისა შეეკრებილვართ აქ დღეს, ქართული გაზეთის ათის წლის არსებობის სადღესასწაულოთ.

„ბატონებო! ყველანი დამეთანხმებით, რომ ამ ჩვენს შეერთებაში არის ძალა, მართალია, ჯერ მცირე, მაგრამ ისეთი, რომელიც შემდეგში შეიძლება გადიდდეს.

„ეს დღე ჩვენ რითიმე უნდა დაგერჩეს მოსაგონებლად. ღიმილზე გატყობთ, ბატონებო, რომ თქვენ თითქმის მიმხვდარი ხართ, რა უნდა ვსთქვა. თქვენ ასე ჰფიქრობთ: „სომეხი ლაპარაკობს; უეჭველია, შეწირვაზე, ფულებზე მივარდება საქმეო!“ მართალია, თქვენ გაიგეთ ჩემი ჰაზრი.

„მარტო სიყვარულის გამოცხადება და ლამაზი სიტყვების თქმა საკმაო არ არის. ქახური ღვინის ლაზათიანად შესმა თუ ვიცით, შეწირვაც უნდა ვიცოდეთ.

„მაშ ეგრე, ბატონებო! მე მაქვს წინადადება, რომ დღევანდელი დღე შემდეგშიაც რითიმე მოსაგონებელად შეგვექნეს: ეს რ ა ი მ ე, ჩემის ჰაზრით, წიგნი უნდა იქნეს.

„მაგრამ წიგნის შინაარსი ჩვენს დღევანდელ მხიარულებას უნდა აძლევდეს პასუხს.

„ამ 1876 წლის 4 მარტის სახსოვრად გამოვცეთ კრება სახალხო და სხვა საუკეთესო ლექსებისა და ამნაირად ქართველ ხალხს სასარგებლო და სასიამოვნო წიგნი ვაჩუქოთ.

„ამ წიგნის გამოსაცემად, თუ ნებას მომცემთ, მე დავიწყებ ახლავე აქედამვე ფულების მოგროვებას და სტოლის მეორე მხრით უფ. ნ. ნიკოლაძეს ვსთხოვ, რომ იმან მოაგროვოს.

„მოგროვების შედეგის მიგამოცხადებ სომხურად იმ თვის, რომ როგორც ქართველებმა „ფულები ბაგრად დარჩეს, არ გაიქცეს“.

ამ წინადადებისა, დაგვარად ხსენებული წიგნისათვის 101 მან. და 10 კაპეიკი მოგროვდა, რამდენსამე მინუტში და ეს ფულები ქართული წიგნების გამომცემლებს გადავცეთ.

უფალმა ბაბრ. სუნდუკიანცმა წარმოსთქვა სიტყვა ქართული-სომხური სცენის წარმატებისათვის.

უფ. ჩიმიშკიანმა სთქვა შემდეგი:

უფ. ჩიმიშკიანის სიტყვა:

—

„როგორც სომხური სცენის წარმომადგენელს და როგორც ისეთს პირს, რომელსაც ქართულის სცენისათვის მიმახურნია, ნება მომეცით მადლობა გამოუცხადო დღე „დროებას“ რომლის ათი წლის არსებობას ვდღესასწაულობთ; მადლობა გამოუცხადო იმ თანაგრძნობისათვის, რომელსაც ის მუდამ წარმოსთქვამდა ხოლმე, როდესაც სომხურ-ქართული სცენის გამართვაზე ჩამოვრდებოდა ლაპარაკი“.

თ. ი. ჭავჭავაძემ გაახსენა მონაწილეთა ადრინდელი მოღვაწენი ქართულის ჟურნალისტობისა: თ. ბიორგი ერეთელი და სოლომონ დოდაევი. და ჰსთქვა: ყველას სამართალი ითხოვს რომ ყველას თავისი მიეწყოს. თუმცა იმ დროშაზედ, რომელზედაც უფ. მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროები“ მოღვაწეთა თავისი მიმართულებაზედ წანაწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობითა გვაქვს გადმოცემული განსვენებულს დოდაევისაგან ბიორგი ერისთავისაგან. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში.

ამის თაობაზე უფ. კ. ქ მამაცოვმა წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც მოიგონა ამ ორმოცი წლის წინა საქართველოს დრო, როდესაც პირველი მოძრაობა იყო საქართველოში ახალგაზდებისა. თქვენ ბედნიერნი ხართო ახლა, სთქვა პატივცემულმა მოხუცმა: ამდენს ახალგაზდას, ამდენ მამულის შვილს გხედავთ ერთად შეკრებილსაო. ჩვენ კი მაშინ სამი-ოთხი თუ შეეერთდებოდით და კრძალვით დავიწყებდით საზოგადო საქმეებზე, თუ ლიტერატურაზე ლაპარაკს, — ისიც დიდ ბედნიერებათა და გაბედვათ მიგვაჩნდაო. შემდეგ კ. ქ. მამაცოვმა გაახსენა სოლ. დოდაევის, ნ. ბარათაშვილის, ეფრემ მღვდელისა და სხვა მაშინდელი მოღვაწეების დრო და თითოეოროლა თანაგრძნობის სიტყვა ყველაზე სთქვა.

ხსენებულ პირთ გარდა სადილზე: ალაპარაკეს თ. ბ. ჯორჯაძემ, უ. უ. ბ. ლოლობერიძემ ნ. ნიკოლაძემ, მ. ბეთანელმა, ბ. იოსელიანმა და სხვ.

ქეიფი, მხიარულება და თამაში საღამოს შვიდ საათამდის გაგრძელდა. შვიდ საათზე დაიშალა ნადიმი. ქარგათ გამხიარულებული და ჩინებულად დროს გატარებით დაკმაყოფილებული საზოგადოება გამოვიდა ბაღიდამ და მთელი გზა ეს დაუბოლოებელი მიხაილოვის ქუჩა, ბორონცოვის ძეგლამდინ, ყველანი ერთად მოდიოდნენ, ზურნითა და პოლკის მუზიკით.

ყველას, ვინც კი ამ ნადიმს დაესწრო, უეჭველია, ეს დღე დიდხანს ტკბილად და სასიამოვნოთ მოსაგონებელ დღედ დარჩებათ...

შენიშვნა

4-ს მარტს იღღესასწაულეს „დროების“ ათი წლიური არსებობა.

ამ საზოგადოთ და უმეტეს ჩემთვის სასიამოვნო შემთხვევამ ცოტა არ იყო, რომ უნებურად ჩამაფიქრა.

ბევრი რამ.... ბევრი რამ იგრძნო ნაღველიანმა გულმა, მაგრამ უმთავრესი მიზეზი კი ჩემის კბილის კრჭის აკერისა ის იყო. რომ მე იმ სადილზედ ვერა ეხედავდი ვერცერთ ქალს!...

მართალია, საზოგადოთ ქალები მიგვაჩნია კაცებს რაღაცა ცალმოგვ-ადამიანებათ; მაგრამ უნდა გამოვსტყდეთ, რომ ჩვენის ცხოვრების ჯახრაკები კი მაინც ისინი არიან. Ოჯახი—ეს პირველი ბიჯი კეთილწარმატებისა—მათ ხელშია. Ისინი გვიზდიან შვილებს, ისინი გვიყვლიან მშობლებს და ისინი ჯერ დობითა და მერე მეულლობით მძიმე ტვირთს გვიმსუბუქებენ.

საზოგადო კანონი ეს არის და კერძოობაზედ რაღათ ვილაპარაკოთ! Თამამად შეგვიძლიან ვსთქვთ, რომ ისინი ხალხის ზნეობის ბარომეტრები არიან. Დავარდნილს საზოგადოებაში ყველაზედ პირველ ეცემიან ქალები და ხალხის გამოფხიზლების დროსაც პირველი ნიშნები მათში იხედებიან. Ადრეეაც გვითქვამს და დღესაც ვიმეორებთ, რომ დედათ სქესი ისე მაღალ წერტილზედ ბევრგან არა მდგარა, როგორც ჩვენში. Და დღესაც, მე მხოლოდ მაშინ ვიწამებ ჩვენის ხალხის გამოღვიძებას, როდესაც ჩვენი ქალები ყოველს კეთილსა და საზოგადოებასადმი კეთილ-ნამყოფის მომტან მოვლინებების არა თუ თანა-მგრძნობნი, თანა-მომქმედნიც იქნებიან.

მე არ მიმაჩნია ის გაზაფხული გაზაფხულად, როდესაც სიცივის გამო მერცხალი არ ბოფრენილა. არა მრწამს საზოგადოების გამოღვიძება მაშინ, როდესაც ქალებს კი სძინავთ.

Აკაკი

მამონტი

ამას წინეთ „დროებაში“ იყო გამოცხადებული მამონტის კბილზე, რომელიც ამბობენ, უნახავთ ზუგდიდის უეზდშიო.

ახლა, როგორც ჩვენ თვითონ დავრწმუნდით, ეს კბილი ნამდვილი მამონტის გამოდგა.

მამონტი დიდი ხანია, რაც გარდაშენებულა; ის ახლანდელ დროში დედამიწაზე არ ცხოვრობს. Თუმცა მამონტი ძალიან ჰგავს სპილოს, მაგრამ განირჩევა როგორც ტანის, აგრეთვე ქილების (ეშვის) სიდიდით.

Ეს პირველი ნახვა არ არის იმის ძვლებისა.

1799 წ. Სიმბირიდამ მოვიდა პეტერბურ.ანბავი, რომ რაღაც უშველებელი ცხოველი ყინულში ჩამარხულიაო. მაგრამ მაშინათვე მეცნიერები ვერ გაგზავნეს და შვიდი წლის შემდეგ სწავლულ მოგზაურმა—Ადამსმა ნახა ამ ცხოველის ძვლები, ტყავი და ხორცი, რომელიც მგლებს და დათვებს გადაჩენოდა. Ეს ცხოველი მამონტი და ახლა მისი ძვლები პეტერბურლის სამეცნიერო Აკადემიის მუზეუმში იმყოფება.

რადგანაც ახლანდელს დროში სპილო ცხოვრებს თბილ ქვეყნებში (Ინდოეთში და Აფრიკაში) და მამონტი მას ძალიან გავს, ამის გამო ზოგიერთს მეცნიერებს ეგონათ, რომ მამონტი გრძელი ბანლით ყოფილა შემოსილი და სპილო კი არ არის; აქედამ ცხადია, რომ მამონტის დროსა ძლიერი სიცივე უნდა ყოფილიყო, თორემ უბრალოდ ის არ შეიმოსებოდა ბანლით.

Ამ ცხოველის ძვლებს რაღაც ცრუმორწმუნეობით და შიშით უყურებენ თითქმის ყოველგან. ხალხს ეგონა, რომ ეს იმ დევების ძვლები უნდა იყოს, რომელთ ანბავი ასე დაწვრილებით იცის ზღაპრებიდამ და ანუ ძველი მცხოვრების (კაცმა არ იცის რაში უნდა გამოდგომოდათ ასეთი ვაება კბილები იმ ძველ მცხოვრებთ).

მაგალითად, Ვალენსიაში დიდი ვაება მამონტის კბილი წმიდა ქრისტეფორეს კბილი ეგონათ და თაყვანს სცემდნენ როგორც ნაწილს.

1789 წელს დიდი გვალვის დროს Ვიცენტის მონასტრის ბერები დიდი მოწიწებით და ცერემონიით დაატარებდნენ ქუჩა-ქუჩა მამონტის ბარზაყის ძვალს, როგორც ნაწილს და ევედრებოდნენ, რომ მას წვიმა ელირსებია ცოდეილ ქვეყნისათვის.

მგრამ ახლანდელს დროში მეცნიერებამ ბოლო მოუღო ამ ნაირი ხალხის და სასულიერო წოდების ცრუმორწმუნეობას და სიბრიყვეს.

Აქ უნდა მოვიყვანოთ ერთი ახირებული ანბავი. Მგონია, ორმოცში საქსონიაში სასულიერო წოდებას დიდის მოწიწებით დაჰქონდა ეიღასიც ძვალი; მთელი ხალხი ზედ აწყდებოდა და ათასობით დაზდევდა უკან და სწირავდა თავის უკანასკნელ კაპეკს.

Ამ დროს გამოჩენილი მეცნიერი Ქარლი Ფოხთი შეხვდა ამ პროცესიას და ერთის შეხედვით იცნო, რომ ეს ამოდენი ვაება ხალხი ხარის ძვალს დაზდევდა თურმე!

„დროების“ კორრესპონდენცია

ქიზიყიდამ, 27 თებერვალს

მოგეხსენებათ, რომ ყოველ კაცს გული შესტკივა იმაზე, როდესაც ძალა-უნებლივ დაატოვებინებ იმ ჩვეულებას, იმ მამა-პაპიურ ცხოვრებას, რომელზედაც არის კაცი შეჩვეული. Თუმცა ამა ჩვეულობით ბევრს აზნევებს კაცი ერთმანეთს, მაგრამ ეს ზნევა სიცოცხლეთ მიაჩნია და თუ მოუშალა ვინმემ, დიდ ჭირათაც გარდაექცევა.

Ამას მოგახსენებთ იმ ჩვეულებაზე, რომელიც აქამომდე სუფევდა ქალაქებში, სახელდობრ ყვენობა. Ბევრჯელ ამა ჩვეულობით გახარებულა მრავალი თავ-მომწონე ყმაწვილის კაცის გული.

Თუმცა ეს ჩვეულობა გადავარდა ჩვენს ქალაქებში, მაგრამ კიდეე ვეღირსე ამის ნახვას ქიზიყის სოფლებში. Პირველ დიდმარხვის ორშაბათს, რომელსაც აქაური მცხოვრებლები შავ ორშაბათს ეძახიან, თითქმის ყველა სოფლებში იყო გამართული ყვენობა. მე შემძლიან აღწერო მხოლოდ იმ სოფლის ცერემონია, რომელშიაც მე თვითონ დავესწარი. სოფელს მ—ში.

Ყვენობა ორ პარტიათ იყო გაყოფილი, რადგანაც ყვენები იყვნენ ორ უბნიდგ ნ და ამ ორ უბანთაგანში ერთს უნდა დარჩომოდა ბატონობ; მაგრამ ეს უბაასოთ არ გათავებულა: ერთიერთმანეთში უნდა მოლაპარაკებულიყვნენ და ვისკენაც გამარჯვება დარჩებოდა, იმას უნდა დარჩომოდა. Ამიტომ ორივე უბნის ყვენები თავიანთ ლაშქრით (კრებით) შეეყუჩდნენ ერთს მოედანზე და დაიწყეს ერთმანეთში მოციქულობა. Თითოეულს ყვენს ჰყვანდა თავისი თარჯიმანი. Პირველი ყვენის თარჯიმანი გამოვიდა და უთხრა მეორეს:

— ჩვენი ყვენი ბრძანებს, რომ ვიჭიდნეთ მე და თქვენი ყვენიო, და რომელმაც გაიმარჯვოს, ყვენობაც იმას დაჩჩესო.

Ამ წინადადებაზე მეორე ყვენი არ დეთანხმა, მხოლოდ პასუხი კი მისცა ამნაირათ:

— როდესაც ერთი ხემწიფე მეორე ხემწიფეს ეომება, მაშინ მხოლოდ ჯარი ომობს და არა ხემწიფეებიო.

— მაშ კარგი, უთხრა პირველი ყვენის თარჯიმანმა:—ჩვენ ჩვენი პარტიიდამ გამოვიყვანთ ერთ ფალავნს, თქვენც გამოიყვანეთ, დაეჭიდოთ ორნივე და ვისმა ფალავანმაც გაიმარჯოს, ყვენობაც იმას დარჩეს.

Ამ მეორე წინადადებაზე დათანხმდა ორივე მხარე. Გამოიყვანეს ფალავნები, უყო ხალხმა ადგილი. Უნდა გეყურებიათ, როგორ ეძგერნენ ერთმანეთს ეს ჩვენი ფალავნები. Იმათი თავების რახა-რუხის და დაღალულობითი ქშენა ზარბაზნის ხმასავით გამოდიოდა.

Ბოლოს დროს დასძლია მეორე პარტიის ფალავანმა; შეიქმნა ერთი ყვირილი, ერთი ტაშის კვრა და გამარჯვებულს ფალავანს თავისი პარტია სულ ჰაერში ისროდა და აქებდა. Გამარჯვებულებმა ყაიყენეს წინ თავიანთი ყვენი და გასწიეს წყლისაკენ; უკან დაედევნა ბოლმით სავსე დამარცხებული პარტია, მრავალი ბალი კაცი და მოხუცი. Აქ გაიმართა საშინელი კრივი ორივე პარტიას შორის; კრივს მოჰყვა ჯოხის ცემა, ისე ირეოდა ხალხი, როგორც ფუტკარი; თუ მამასახლისი არა ბარე ორიოდე გაჭიმავდა ფეხებს საუკუნოთ. ზოგს ცხვირ-პირიდამ მოლარლალებდა სისხლი, ზოგს თავი ჰქონდა გატეხილი და ზოგს მუშტის ცემისაგან გვერდის ნეკნები ჰქონდათ დაჭეჭილი.

მართალი ნათქვამია: „ჩვეულობა რჯულზე უმტკიცესიაო“. Თუმცა ამ დღეს უწყალოდ სცემდნენ და ლანძღავდნენ ერთმანეთს ღვინისაგან დაბრუშებულები, მაგრამ მეორე დღეს კი ერთმანეთს ძმურად ხელს ართმევდნენ და ესიყვარულებოდნენ. Ისინი ლოცავდნენ ამ ბედნიერ დღეს, რომ კარგათ დროება გაატარეს.

Მიხეილ Ბავაშელოვი

ბორი, 29 თებერვალს

Ამ ახალი გამგეობის წესის დაარსებით ბორმა ბევრი ინარგებლა, რადგანაც ჩვენმა ბორის თავმა—უფ. Ელიმირზოვმა გამოაცხადა, რომ ვისაც ქალაქის ხარჯი აქვს შემოსატანი და მომავალის თვის მარტის პირველამდინ არ შემოიტანსო, იმ პირს წევრების არჩევის დროს ხმა აღარ ექნებაო.

Ამ გამოცხადებამ ხალხი ძრიელ დააფიქრა და ზოგმა დაბალმა ხალხმა დაიწყო შეტანა პოლიციაში ფულისა, და ზოგნიც ფიქრობენ შეიტანონ; მაგრამ ძალიან ძნელია მარტის პირველამდინ სუყველამ შეიტანოს და თუ მართალია, ვინც ამ დანიშნულს დროს არ შეიტანა, წევრების და ხმოვანების არჩევის დროს ხმა არ ექნებათ, თქვენს მტერს მოუიდეს, რომ ბორს საქმე დაემართება: რაც შეძლებული და წარჩინებული პირები არიან, გადაუხდელი ხარჯი (ნიდოიმკა) იმათზედ ირიცხება და ესენი რომ კენჭის ყრის დროს არ იყვნენ და ხმა არა ჰქონდეთ, ჩემის ჰაზრით, ქალაქის საქმე ისე მარჯვეთ ვერ წავა (?) და არ იქნება ურიგო, რომ ამ საგანს უფ. Თემა Ელიმირზოვმა ყურადღება მიაქციოს და ძალიან ცოტა, ასე, ერთი თვეც არის ხალხს ვადა მისცეს გადაუხდელი ხარჯის შეტანაზე, თორე, თუ ასე არ იქნა, მაშინ ძველი გამგენი ქალაქისა ამ დაბალ ხალხში ისევ თავიანთებურათ დაიწყებენ ოინობას.

Ა. Თუთაევი

ქართულს რეპერტუარში

შემდეგი პიესები არ არის გამოცხადებული:

1 „მასკარადი“, დრამა ოთხ მოქმედებად. თხზ.—ლერმონტოვისა, თარ. Ბ. Წინამძღვაროვისაგან.
2 „ქალალდის მოთამაშის ცხოვრება“, დრამა სამს მოქმედ. ნათ.-Ი. ქერესელიძისაგან.
3 „ნორმა“, შემოკლებული ტრაგედია ორს მოქმედებად. ნათ.—Ბ. რყეულოვისა.
4 „ფაუსტი“, ოპერა ექვს მოქმედებად. ნათ.—ს. Უანდინოვისა.
5 „ლამე დუქანში“, დრამატიული სურათი თხზ. სოლოგუბისა, ნათ.—Ი. ქერესელიძისაგან.
6 „მოჯადოებული პრინცი, ანუ სულის გადასახლება“, კომედია სამს მოქმედებად. ნათ.—Ი. ქერესელიძის.
7 „ჩემი ქმარისხვას ირთავს“ კომედია ორს მოქმედებად. თხზ. ა.ბ. Ი. Ელიოზოვისაგან.
8 „ნუ დაჰკარგამ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“, ერთი სცენა, Ი. ქერესელიძისაგან.
9 „პროვინციის ქალი“, კომედია ერთ მოქმედებად. Ი. ტურგენიევისა. ნათარგმნი
10 „ძველი ამხანაგები“ კომედია ერთს მოქმედებად. Აკაკი წერეთელი,—სალექსათ

11 „სხვა რიგი სიყვარული“ ოდეეილი ერთს მოქმ. ივ. ბარათაშვილისა.

12 „არსენა“, დრამა ხუთს მოქმედებად. თხზ. — შეუსრულებელი.

13 „დედამთილი“, კომედია პუბლიტერენცი აფრაკანელისა, ნათ. ჯვარელისაგან.

14 „აკტიორი“, კომედია 1 მოქმედებად. თხზ. —

15 „ბიჭაკი“, კომედია ორს მოქმედებად. თხზ. —

16 „კომედია იმერეთის ცხოვრებიდან“ კანდრატი ალდიაშვილისა.

17 „იჭვიანი“, ოდეეილი ერთს მოქმედებად. ნათ. რაფ. ერისთავისაგან.

18 „სიკსტი მეხუთე“ კომედია — თხზ. მოლაყბისა. ნათ. რაფ. ერისთავისაგან.

19 „ძუნწი გმირი“ სამს მოქმედებად. თხზ. ა. პუშკინისა. ნათ. რაფ. ერისთავისაგან.

კავკასიის საბჭეიო ინსტიტუტი სამშობიარო ღოშპიტლით

(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ღოშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველ-დღე მიიღებენ, კვირის გარდა; ეიზიტორ'ა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 9½-მდი დოქტორი ალბანუსი და ანანოვი და 9½-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და ქაპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.

განცხადებანი

ანგარიში
თიოლნეთის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა
1875 წლისა
დამტკიცებული საზოგადო კრებისაგან 1 თებერვალს 1876 წლისა.

1-ს იანვრისათვის 1875 წლისა იყო:

	მან.	კაპ.
წილის ფული 207 წევრისა	2708	80
სასარგებლოდ შემოტანილი ფული	200	„
ნასესხი შემდეგ აღებული	1150	„
წმინდა მოგება	54	44
სულ	4113	24

	მან.	კაპ.
გასესხებული	3435	„
დაშთენილი.		
ნაღდ ფულად	278	24
დროებით ბანკში შეტანილი	400	„
სულ	4113	24

1875 წელში

შემოვიდა:		
წილის ფული	833	80
სარგებელი, დაჭერილი სესხობის ანუ ახალი ვადის მიცემის დროს	687	27
დაბრუნებული ნასესხი	8029	„
ჯარიმა	10	31
სასარგებლოდ შემოტანილი ფული	480	„
ნასესხი შემდეგ აღებული	6301	„
სათადარიგო თანხა	54	44
სულ	16395	82

გავიდა:		
გასესხებული	12404	„
სარგებელი ვადაზედ წინგადახდილის ნასესხისა	12	43
სასარგებლოდ შემოტანილი ფული	300	„
სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილს ფულზედ	21	97
ნასესხი შემდეგ აღებული	2220	„
სარგებელი ნასესხ ფულზედ	207	12
სამმართველო ხარჯი	133	93
აღებ მიცემისა	54	44
სულ	15353	89

1-ს იანვრისათვის 1876 წლისა არის:

წილის ფული 354 წევრისა	3542	60
სასარგებლოდ შემოტანილი ფული	380	„
ნასესხი შემდეგ აღებული	5231	„
სათადარიგო თანხა	54	44
წმინდა მოგება	322	13
სულ	9530	17

გასესხებული	7810	„
დაშთენილი:		
ნაღდ ფულად	809	67
დროებით ბანკში შეტან.	700	„
საერთიერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შესატანი	210	50
სულ	9530	17

გამგებელნი: { ვ. ღოდაევი, მ. შიუკოვი, ბ. ზოჯიევი

საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირთაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად
რის ზუტმანი, ქიმიკოსი პეშტიტამ,

იმპერატორის **სასახლის მეიჯარადრე**

რომელსაც პრივილეგია აქვს **უცხო ქვეყვების სასახლეებისაგან.**

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.

1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენისდროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მიიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

ბამომგონი პასუხს აგებს

ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.

ფრეის-კურანტი:

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის — 1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი — 1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა — 60 კაპ.

უმთავრესი დეპოარის თ ფ ი ლ ი ს ში, დეორცოვის ქუჩაზე, **არწრუნის** ქარვასლაში, **ლანკოს** მუზიკის მაღაზიაში; **ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ი,** სეგალთან. **ალექსანდროვსკის** პროსპექტზე. **ლებედევის** სახლში; **ს ტ ა ვ რ ო პ ო ლ ი ში** — **ჟურილჩენკოსთან.**

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. **აქვე ისყიდება თმის საღებავი.** 54—10

რაკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი	9	36	4	54				
მცხეთა	—	—	—	—	2	68	3	38
ბორი	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
უვირლა	—	—			5	81	3	23
ქუთაისი	8	23			6	75	3	75
სამტრედია	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი	—	—			8	57	4	76
ფოთი	11	44			9	75	5	42
ფოთი	8	40						
ახ.-სენაკი	—	—			1	18	3	66
სამტრედია	—	—			2	6	1	14
ქუთაისი	11	51			3	4	1	69
უვირლა	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა	—	—			9	8	5	4
თფილისი	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — ხუთშაბ. შუადღეზე

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — ოთხშაბათს, დილით.

ოდესას — ოთხშაბათს, შუადღეზე.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, ლუშეთს, სილნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდ. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) ბ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდ.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 2 მარტს		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 32 პენსი.	—	84
პარიჟში 334 სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	100	25
მოგებიანი (პირველისსესხი)	226	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	217	75
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	94	--
ხერსონის ბანკის (5½)	88	—
მოსკოვის (5%).	86	75
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	172	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
ქავკაზის და მერკურის.	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 6 მარტს		
პური: შორაგალის ფთ.	—	90
ქერი ფუთი.	—	55
ბამბა ერევნისა, ფუთი	5	50
— ამერიკისა, ფუთი.	6	30
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ.	7	50
— თარაქამისა ფთ.	7	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი.	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	63
— ცხვრისა, ლიტრა.	—	72
სპირტი, ვედრო.	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი	7	80
— ფხვნილი ფუთი	6	40
ყავა გრგვალი ფუთი	22	--
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	50
ოქრო ½ იმპერიალი.	6	15

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Марта 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.